სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

86313857357616

# საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N161146553

რეგისტრაციის თარიღი

04.10.2016 წ

ნოტარიუსი: ირმა გოგია
მისამართი: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა N14.
ტელეფონი: 599 932 798 2 76 37 45

---

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ორიათასთექვსმეტი წლის ოთხ ოქტომბერს, მე ნოტარიუსს ირმა გოგიას, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ვარკეთილი, მე-3 მასივი, კალოუბნის ქუჩა 14 მომმართა მოქალაქე – ნუგზარი ჯიღაურმა, რომელმაც განაცხადა, რომ, არის შპს "ზენი"- ს (ს/კ №208140377) დამფუძნებელი და იმავდროულად დირექტორი. მან თავისი უფლებამოსილების დასადასტურებლად წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B16119923, მომზადების თარიღი: 30/08/2016.

ნუგზარი ჯიღაურმა გამოხატა ზურაბ ჯიღაურის მიმართ მინდობილობის შედგენის და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე ნუგზარი ჯიღაურის (დაბ: 12.04.1946 წელს, საგარეჯოში, პ/ნ #01013012938, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, 1 მკრ, კორ #9, ბინა 3) პირადობა. მე შევამოწმე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. შემდეგ შევადგინე მინდობილობის პროექტი, რომელიც წაიკითხა და მოიწონა მინდობილობის გამცემმა და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასთექვსმეტი წლის ოთხ ოქტომბერს, მე, ნუგზარი ჯიღაურმა (დაბ: 12.04.1946 წელს, საგარეჯოში, პ/ნ #01013012938, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ვარკეთილი 3, 1 მკრ, კორ #9, ბინა 3), როგორც შპს "ზენი"- ს დამფუძნებელმა და იმავდროულად დირექტორმა, ზურაბ ჯიღაურს (დაბ: 21.01.1987 წელს, თბილისში, პ/ნ #01013028950, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ვარკეთილი 3-ის დასახლება, 1 მკრ, კორ #9, ბინა 3) მივანიჭე შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ:

1. ზურაბ ჯიღაური უფლებამოსილია წარმოადგინოს და დაიცვას ჩემი, როგორც შპს "ზენი"- ს დამფუძნებელის და იმავდროულად დირექტორის ინტერესები ნებისმიერ ორგანიზაცია/დაწესებულებაში, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობისას, საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ნებისმიერ საბანკო დაწესებულებაში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ სარეგისტრაციო სამსახურში, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, სანოტარო ბიუროში, პარტნიორთა კრებებზე; საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში, ზედამხედველობის სამსახურში, მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, შესაბამისს კომისიებში, ქონების მართვის სამსახურში, ნებისმიერ საბაჟო ტერმინალში, გაფორმების ეკონომიკურ ზონაში, საქართველოს ფოსტაში და ა.შ, რათა თავისი შეხედულებისამებრ მართოს და განკარგოს ზ/აღნიშნულ სახოგადოებაში ჩემი კუთვნილი წილი, გაასხვისოს მესამე პირების სასარგებლოდ ან/და გადაიფორმოს საკუთარ სახელზე, ასევე ჩემი სახელით ნებისმიერი ფორმით შეიძინოს/მიიღოს წილი და გააფორმოს ჩემს სახელზე, წარმომადგინოს პარტნიორთა კრებებზე (ხმის მიცემის უფლებით), თავისი შეხედულებისამებრ მიიღოს დღის წესრიგით გათვალისწინებულ (ან/ და სხვა) საკითხებზე გადაწყვეტილებები, ხელი მოაწეროს შესაბამის კრების ოქმებს ან/ და გადაწყვეტილებებს. ამის შესაბამისად დადოს კანონით ნებადართული ყოველგვარი გარიგება წილის მართვასთან, განკარგვასთან და შეძენასთან დაკავშირებით. ასევე მართოს და განკარგოს ფულადი თანხები, მოახდინოს თანხის გატანა, შეტანა, მიიღოს გზავნილი, გააფორმოს სადეპოზიტო ხელშეკრულება, გახსნას/დახუროს ნებისმიერი ტიპის ანგარიში, მიიღოს ინფორმაცია ჩემი ნებისმიერი ტიპის დავალიანების შესახებ, ჩემი სახელით მოითხოვოს როგორც ძირითადი, ასევე დამატებითი ბარათ(ებ)ის დამზადება ან/და დამზადებული დამატებითი ბარათ(ებ)ის მიღება (მათ შორის ბანკომატში დაკავებული ბარათის მიღება, მოახდინოს ბარათისათვის კოდის (მათ შორის პინ-კოდის) მინიჭება, კოდის მიღება/გატანა, მოახდინოს ბარათების განახლება, მისი ბლოკირება/განბლოკვა), დამატებითი ბარათ(ებ)ით აწარმოოს საბანკო ოპერაციები, მოახდინოს ინტერნეტ ბანკინგის გახსნა/რეგისტრაცია, ისარგებლოს ინტერნეტ-ბანკინგით და ბანკ კლიენტის მომსახურებით, აწარმოოს ნაღდი და უნაღდო ოპერაციები, ისარგებლოს დისტანციური მომსახურებით (გახსნას/დახუროს), დაარეგისტრიროს სახელფასო პროგრამა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგადასახადო ინსპექციაში აწარმოოს ყველა საგადასახადო ოპერაცია, გახნსას ელექტრონული დეკლარირების გვერდი.შეიძინოს/მიიღოს ნებისმიერი სახის ტვირთი, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ, უზრუნველყოს ტვირთის განბაჟება, ტრანსპორტირება, წარადგინოს/მიიღოს დოკუმენტაცია/ინფორმაცია, ხელი მოაწეროს შესაბამისს დოკუმენტაციას, საკუთარი შეხედულებისამებრ განსაზღვროს მათი შინაარსი და შეასრულოს ყველა სხვა საჭირო მოქმედება.

2. მინდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით, მესამე პირებზე გადაწდობის უფლების გარეშე.

3. მინდობილობა გაცემული 5 (ხუთი) ეგზემპლარად. რომელთაგან 1 (ერთი) ინახება ჩემს სანოტარო ბიუროში, ხოლო 4 (ოთხი) გადაეცა მინდობილობის გამცემს.

მინდობილობის იმ ეგზემპლარს რომელიც რჩება ჩემს სანოტარო ბიუროში, თან ერთვის:

-ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიული პირების რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 20.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის #507 დადგენილების -"სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესის და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" 31-ე მუხლისა, სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტუქციის 52-ე მუხლისა, 2 ლარი, თანახმად ზემოაღნიშნული დადგენილების (#507, 29 დეკემბერი, 2011 წ.) 39-ე მუხლისა, დღგ 3,60 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია 25,60 ლარი.

ხელმოწერა _____

ნოტარიუსი ირმა გოგია _____